ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

ხარისხის მართვის სამსახურის დებულება

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N6.

თარიღი: 15.03.2023 წ.

დადგენილება N10.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N1.

თარიღი: 15.01.2025 წ.

დადგენილება N7.

პრეამბულა

„ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს ხარისხიანი საგანმანათლებლო სისტემის შექმნას და განვითარებას, რომელიც ექვემდებარება სისტემატურ შეფასებას და მოიაზრებს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას, მათ შორის სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის. ჩართულობა უზრუნველყოფს პროცესების ეფექტიანობას და შედეგზე ორიენტირებას. ამ მიზნით, უნივერსიტეტში შექმნილია სტრუქტურული ერთეული - ხარისხის მართვის სამსახური.

უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური წარმოადგენს ერთ - ერთ მმართველ სუბიექტს, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის დებულებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და წინამდებარე დებულებით. უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური თავის საქმიანობაში ითვალისწინებს ბოლონიის პროცესის ფარგლებში ევროკომისიის, ევროსაბჭოსა და იუნესკოს ეგიდით შესაბამისი პროფილის ევროპული ასოციაციებისა და ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ სარეკომენდაციო დოკუმენტებს.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ხარისხის მართვის სამსახური

1.1. უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო - კვლევითი მუშაობის, აგრეთვე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით შექმნილია ხარისხის მართვის სამსახური, რომელიც მოქმედებს უნივერსიტეტის დებულებისა და ხარისხის მართვის სამსახურის დებულების შესაბამისად;

1.2. უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელს ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი;

1.3. უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახური ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (საკრედიტო სისტემა, მეთოდოლოგია და

სხვ.) დანერგვით, მუდმივი განახლებითა და ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისათვის მზადებით.

თავი II. ხარისხის მართვის სამსახურის საქმიანობის სფერო, მიზნები და მოვალეობები

მუხლი 2. ხარისხის მართვის სამსახურის საქმიანობის სფერო

2.1. სამსახური წარმოადგენს სწავლის, სწავლების და სამეცნიერო კვლევების ხარისხის სფეროში ერთიანი პოლიტიკის გამტარებელ ორგანოს;

2.2. სამსახური ახორციელებს უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შეფასების შიდა და გარე პროცედურების უზრუნველყოფას, ხარისხის მართვის საუნივერსიტეტო პოლიტიკის, მექანიზმებისა და პროცედურების განსაზღვრას;

2.3. სამსახურის საქმიანობის სფეროს მიეკუთვნება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის, სწავლების ხარისხის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების და სასწავლო პროცესის ერთიანობის კოორდინაცია და სისტემატური შეფასება. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგების, სემინარების ჩატარება, გაცვლითი პროგრამების კოორდინირება;

2.4. ინსტიტუციური ავტორიზაციის და პროგრამული აკრედიტაციისათვის აუცილებელი მასალების მომზადების კოორდინაცია;

2.5. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება;

2.6. სტუდენტთა სწავლის შედეგების (კრედიტების) აღიარებისა და სტუდენტთა მობილობის ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავება.

მუხლი 3. ხარისხის მართვის სამსახურის მიზნები

3.1. განათლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების პირობების უზრუნველყოფა;

3.2. უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

3.3. სწავლების დონის, პერსონალის კვალიფიკაციის სისტემატური შეფასება და ხარისხის დონის ამაღლების ხელშეწყობა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

მუხლი 4. ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

4.1. ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის ფუნქციები

ა. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის, ხარისხის მართვის მექანიზმებისა და პროცედურების შემუშავება;

ბ. სასწავლო პროცესთან, ავტორიზაციასთან და პროგრამულ აკრედიტაციასთან დაკავშირებული ინსტრუქციების, წესების, დადგენილებების, ბრძანებების შემუშავების ორგანიზება და კოორდინირება;

გ. საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატური მონიტორინგის ორგანიზება;

დ. საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის შედეგად რეკომენდაციების შემუშავება საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით;

ე. სტუდენტთა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და ადმინისტრაციის ანონიმური გამოკითხვის ჩატარება და შედეგების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების წარდგენა საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით;

ვ. ავტორიზაციის/აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარის და თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციის მომზადებისა და შეგროვების ორგანიზება;

ზ. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური რესურსებისა და მატერიალურ - ტექნიკური ბაზის შესაბამისობის დადგენა ავტორიზაციის სტანდარტებთან და რეკომენდაციების წარდგენა რექტორისთვის;

თ. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შემუშავება და დასამტკიცებლად წარდგენა;

ი. სტუდენტთა კონტინგენტის და აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავება და დასამტკიცებლად წარდგენა;

კ. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის შემუშავება და დასამტკიცებლად წარდგენა;

ლ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის შემუშავება და დასამტკიცებლად წარდგენა;

მ. ხარისხის მართვის შიდა მექანიზმების შემუშავება და დასამტკიცებლად წარდგენა;

ნ. ხარისხის მართვის მექანიზმების შეფასების სისტემის შემუშავება და დასამტკიცებლად წარდგენა;

ო. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, ასევე მისიის შემუშავების წესების, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტთა მომსახურების წესის შემუშავება და დასამტკიცებლად წარდგენა;

პ. მონაწილეობა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენაში;

ჟ. მონაწილეობა უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში;

რ. მონაწილეობა უნივერსიტეტში მობილობის პროცესში (ამზადებს მობილობის დასკვნებს - შიდა/გარე და ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პრგრამებს) და სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცესში;
ს. მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის წინამდებარე დებულებით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, რექტორის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

მუხლი 5. გარდამავალი დებულებები

5.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

5.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

5.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

5.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.